საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის 2014 –2020 წლებისთვის“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დამტკიცდეს „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014 - 2020 წლებისთვის“.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი**

ქუთაისი,

2014 წლის _____

№-------- – რს

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წლებისთვის

მარტი, 2014

შესავალი

სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი

საქართველოში სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული ევროპული დემოკრატიული სისტემის ფორმირების პროცესი დაიწყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) პერიოდში, როცა 1921 წლის კონსტიტუციამ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის თანასწორობა კანონის წინაშე, სიკვდილით დასჯის აკრძალვა, პიროვნების ხელშეუხებლობა, ქალების საარჩევნო უფლებები, სიტყვის და შეკრების თავისუფლება, ეროვნულ უმცირესობათა უფლებები გამოაცხადა. კონსტიტუციურ ჩარჩოში ასევე მოექცა ყველა ის უფლება, რომელიც პირდაპირ მითითებული არ იყო, მაგრამ გამომდინარეობდა კონსტიტუციით აღიარებული პრონციპებისგან. მნიშვნელოვანია, რომ დღეს მოქმედი 1995 წლის კონსტიტუცია 1921 წლის კონსტიტუციის პრინციპებს ეფუძნება და ადამიანის უფლებებზე ორიენტირების ტრადიციას აგრძელებს. საქართველოს

კონსტიტუცია „ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს“. აქედან გამომდინარე, „ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებით და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“.

კონსტიტუციის პრეამბულის თანახმად, საქართველოს მოქალაქეების ურყევი ნებაა დემოკრატიის დამკვიდრება და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფა მოხდეს არა იზოლირებულად, არამედ სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობების კონტექსტში. აღნიშულიდან გამომდინარე, საქართველო არის ადამიანის უფლებების თითქმის ყველა ძირითადი საერთაშორისო და რეგიონალური ხელშეკრულების მხარე. ამასთან კონსტიტუციის 39-ე მუხლიდან გამომდინარე, აღიარებულია ადამიანის ის ძირითადი უფლებებიც, რომლებიც თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან. შესაბამისად, ადამიანის უფლებების დაცვის საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრინციპები და ნორმები საქართველოს სამართლებრივი და პოლიტიკური სივრცის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვა კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტების, პრინციპების და ნორმების საფუძველზე ხორციელდება, რომელთა შინაარსობრივი და პროცედურული ფარგლები იცვლება და ვითარდება ახალი სტანდარტების, პრინციპების და ნორმების ან პროგრესული პრაქტიკის დამკვიდრების მეშვეობით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგის საერთაშორისო ორგანოების მიერ. თუმცა, ადამიანის უფლებების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი ჩარჩოს არსებობა საკმარისი არ არის და აუცილებელია არსებული უფლებების პრაქტიკული რეალიზების საშუალებებისა და ინსტიტუციური მექანიზმების არსებობა, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრეს მოვალეობას წარმოადგენს. საქართველოს მიერ ამ ვალდებულების შესრულების მიზნით საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 ივლისის N169 დადგენილებით შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი უწყებათშორისი საბჭო, რომლის მიერაც შემუშავდა წინამდებარე სტრატეგია.

ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგია ეფუძნება საქართველოში ადამიანის უფლებების ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალიზების იდეას და განსაზღვრავს საქართველოს ხელისუფლების გრძელვადიან პრიორიტეტებსა და ამოცანებს ადამიანის უფლებათა სფეროში უწყებათშორისი, მრავალსექტორული, ერთიანი და

თანმიმდევრული პოლიტიკის ფორმირების, „კარგი მმართველობის“ განხორციელებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერების მიზნით.

სტრატეგიის შემუშავების პროცესი

სტრატეგიის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი როგორც სახელმწიფო უწყებები, ისე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები. მუშაობის პროცესში განხილვები გაიმართა აგრეთვე უშუალოდ ადამიანის ცალკეულ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებთან.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა სპეციალური ვებ-გვერდი, რომელიც შეიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას სტრატეგიის შემუშავების პროცესის მიმდინარეობის შესახებ. ვებ-გვერდის მეშვეობით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო საკუთარი შენიშვნების და მოსაზრებების უწყებათაშორისი საბჭოსთვის მიწოდება.

არსებული მდგომარეობა

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, საქართველომ გამოიარა ჯერ სახელმწიფო ინსტიტუტების სრული რღვევის, ხოლო შემდეგ მათი თანდათანობითი აღდგენის ეტაპები. ამ პერიოდის განმავლობაში, საქართველომ შეძლო სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ითვალისწინებს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, საქართველოს სახალხო დამცველის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები მიუთითებენ საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ არაერთ ხარვეზზე.

ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით საქართველოში არსებულ საჭიროებებსა და მთავარ გამოწვევებს ობიექტურად და კომპლექსურად ასახავს საქართველოში კონსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმების საკითხებსა და ადამიანის უფლებებში ევროკავშირის სპეციალური მრჩეველის, თომას ჰამერბერგის 2013 წლის ანგარიში „საქართველო გარდამავალ ეტაპზე“.[1] საქართველოს ხელისუფლება იზიარებს ანგარიშში გამოთქმულ შეფასებებს და აუცილებლად მიიჩნევს გამოთქმული რეკომენდაციების შესრულებას.

[1] http://eeas.europa.eu/delegations/georgia/press_corner/all_news/news/2013/human_rights_2013/human_rights_report_2013_en.htm.

რეკომენდაციების მიხედვით, ადამიანის უფლებების უზრუნველსაყოფად საჭიროა საკანონმდებლო ბაზის მეტად დახვეწა, თუმცა, უფრო მნიშვნელოვანია არსებული დებულებების პრაქტიკული იმპლემენტაცია.

ადამიანის უფლებების ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალიზებას ხელს უშლის, ერთი მხრივ, უფლების მფლობელების ცნობიერების არასათანადო დონე საკუთარი უფლებების რეალიზების საშუალებების შესახებ და, მეორე მხრივ, სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე ვალდებულებების არასათანადო შესრულება.

ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად ცალკეული მიმართულებებით მიმდინარეობდა და კვლავაც გრძელდება მუშაობა, თუმცა ეს პროცესი არ არის ერთიანი და კომპლექსური. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ადამიანის უფლებების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებები იყოს მუდმივად განგრძობადი და სისტემური პროცესის ნაწილი, რომელიც დამოკიდებული არ იქნება ცალკეული ხელისუფლების თუ თანამდებობის პირის ცვლილებაზე.

სტრატეგია და მომავლის ხედვა

სტრატეგიის გრძელვადიანი ხედვაა საქართველო, სადაც ადამიანის უფლებების პატივისცემა საერთო ღირებულებას წარმოადგენს და სადაც ყველა ადამიანისთვის უზრუნვეყოფილია ღირსეული ცხოვრება და კეთილდღეობა,

2014-2020 წლების განმავლობაში სტრატეგია ორიენტებულია მიღწეულ იქნეს კონკრეტული შედეგები, მათ შორის:

- ადამიანის უფლებების უზრუნველსაყოფად აუცილებელი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს სტრატეგიით გათვალისწინებული პრიორიტეტული მიმართულებებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობა;
- საზოგადოების ფართოდ ინფორმირება საკუთარი უფლებებისა და მათი რეალიზების საშუალებების შესახებ;
- სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებების ყოველდღიურ ცხოვრებაში განხორციელება.

სტრატეგიის მიზნები

სტრატეგიის უმთავრესი მიზანია სისტემური მიდგომის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე ვალდებულებების ყოველდღიურ ცხოვრებაში შესრულებას. ამისათვის, ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენელმა, პირველ რიგში საქართველოს მთავრობამ, ნებისმიერმა საჯარო თანამდებობის პირმა ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე კარგად უნდა გააცნობიეროს და განახორციელოს მოვალეობები, რასაც მათ ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის კონსტიტუციური ვალდებულება აკისრებს. სტრატეგია მიზნად ისახავს, საქართველოში ყველა ადამიანს კარგად ესმოდეს საკუთარი უფლებების არსი და პრაქტიკაში შეეძლოს მათი გახორციელება მეტი კეთილდღეობისა და ღირსეული ცხოვრების მისაღწევად.

ადამიანის უფლებების უზრუნველყოფა არ უნდა იყოს მხოლოდ ხელისუფლების კეთილ ნებაზე დამოკიდებული, არამედ ყველა ადამიანი, არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში, თავად უნდა ცდილობდეს საკუთარი უფლებების დაცვას და არ უნდა ეგუებოდეს დარღვევას. ასეთ სახელმწიფოში ადამიანებს ეცოდინებათ საკუთარი როლი დემოკრატიულ სახელმწიფოში, როგორც საკუთარი უფლებების განხორციელების, ისე საკუთარი მოვალეობების ნაწილში. ხელისუფლებამ უნდა გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ადამიანებს შესაძლებლობას მისცემს აქტიური როლი ითამაშონ საკუთარი უფლებების დაცვასა და დემოკრატიის განვითარებაში.

ადამიანის უფლებების უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ცვლილებები და პროცესის განგრძობადობა

ადამიანის უფლებების უზრუნველყოფა მუდმივი პროცესია, რომელიც გულისხმობს სამართლებრივ, ინსტიტუციურ და პრაქტიკის პერიოდულ ცვლილებებს. ეს ცვლილებები საჯარო სექტორში მომუშავე პირების საქმიანობაზე უნდა აისახოს, ისე რომ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელება მათი „სამუშაო კულტურის“ ორგანული შემადგენელი გახდეს.

რეფორმები და მათი თანამდევი სამართლებრივი და ინსტიტუციური ცვლილებები, თავის მხრივ, კონსტიტუციური პრინციპებიდან უნდა გამომდინარეობდეს და დემოკრატიული, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებას ისახავდეს მიზნად. ცვლილებებს ეროვნულ დონეზე არსებული საჭიროებები უნდა განსაზღვრავდეს. ამავე დროს, საქართველო უნდა ესწრაფოდეს ადამიანის უფლებების დაცვის ევროპულ სტანდარტებთან მაქსიმალურად ჰარმონიზაციას.

სვლა ინსტიტუციური დემოკრატიისაკენ

რეფორმების პროცესში უმთავრესი მიმართულება „ინსტიტუციური დემოკრატიის“ დამკვიდრებაა. 1991 წლიდან დღემდე საქართველო გარდამავალ ეტაპზეა „საარჩევნო დემოკრატიიდან“, როდესაც შესაძლებელია კონსტიტუციით და კანონით განსაზღვრული ორგანოების და ინსტიტუტების არჩევა-ამოქმედება, „ინსტიტუციური დემოკრატიისკენ“, როცა არჩეული ორგანოები და ინსტიტუტები, ეფექტიანად ფუნქციონირებენ და არ არიან დამოკიდებული ერთი-რომელიმე პირის ნება-სურვილზე. „ინსტიტუციური დემოკრატია“ უზრუნველყოფს, რომ სახელმწიფო ორგანოებმა და საჯარო მოხელეებმა აკეთონ, რაც ნებადართულია, ხოლო პიროვნებამ, რაც აკრძალული არ არის კანონით. ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის პროცესის განგრძობადობისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანობა და მათი განვითარების მაღალი დონე. „ინსტიტუციური დემოკრატიის“ აუცილებლობა არის ერთ-ერთი მთავარი გაკვეთილი, რაც საქართველომ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის განვითარების გამოწვევებით სავსე ორი ათეული წლის განმავლობაში მიიღო. შესაბამისად, მისი ფორმირება-კონსოლიდაცია არის სტრატეგიული ამოცანა, რომელიც ხელისუფლების სამივე შტოს, ასევე მთლიანად საზოგადოების ერთობლივ ძალისხმევის საჭიროებს.

ადამიანის უფლებაზე დაფუძნებული მიდგომა

საქართველოს ხელისუფლების მისწრაფებაა „ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა“ პოლიტიკის და პროგრამების ფორმირების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების შემადგენელი ნაწილი გახდეს. ეს არსებითად გულისხმობს ადამიანების ჩართულობას იმ გადაწყვეტილებებში რაც მათი განვითარების პროცესს უკავშირდება. იგი ემსახურება ნებისმიერ დონეზე არჩეული წარმომადგენლებისა და საჯარო მოსამსახურეების მიერ ადამიანის უფლებების სფეროში ვალდებულებების იმპლემენტაციის, ტრანსფარენტულობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა აგრეთვე გულისხმობს ნებისმიერ საკითხში ქალისა და მამაკაცის განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით. ამდენად, მნიშვნელოვანია რომ თანდათანობით სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა განავითარონ შესაძლებლობები „ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის“ გამოსაყენებლად განსაკუთრებით, საჯარო მომსახურების დაგეგმვისა და მიწოდებისას, რაც

გააუმჯობესებს, როგორც მომსახურების მიმღებების, ასევე მათი მიმწოდებლების შედეგებს.

პოლიტიკის ან პროგრამის ფორმირება „ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის“ საფუძველზე ერთი მხრივ, გულისხმობს „უფლების მფლობელების“ მოთხოვნის, ხოლო მეორე მხრივ, „მოვალეობის მატარებლების“ შესაბამისი ვალდებულების იდენტიფიცირებას, რათა დადგინდეს ის ძირეული და სტრუქტურული მიზეზები, რის გამოც ვერ ხერხდება კონკრეტული უფლების გამოყენება.

„ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის“ ფარგლებში პოლიტიკის და პროგრამის ფორმირებისასშეფასდება „უფლების მფლობელის“ უნარი მოითხოვოს უფლების რეალიზება და „მოვალეობის მატარებლების“ უნარი შეასრულოს შესაბამისი ვალდებულება. მონიტორინგი გაეწევა რამდენად მოხდა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გათვალისწინება პოლიტიკაში, კანონებში, რესურსების განაწილებაში, ასევე შეხედულებებში, ღირებულებებსა და პრაქტიკაში;

ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის პრინციპები

ადამიანის უფლებების უზრუნველყოფა საქართველოს მოქალაქეების ურყევი ნება და კონსტიტუციით აღიარებული პრინციპია, რომლითაც შებოჭილია ყველა ხელისუფლება. იგი ოთხი სახის ვალდებულების შესრულებას გულისხმობს:

1. ადამიანის უფლებების უშუალოდ სახელმწიფოს მხრიდან დაურღვევლობას;

2. სხვა პირთა მიერ ადამიანის უფლებების დარღვევისგან დაცვას;

3. სისტემის შექმნას, რომელიც ადამიანებს საკუთარი უფლებების რეალიზების შესაძლებლობას მისცემს;

4. ადამიანების სათანადოდ ინფორმირებას მათი უფლებებისა შესახებ.

ამ ვალდებულებების შესრულება ადამიანებს დაიცავს საჯარო დაწესებულებების მხრიდან მათი უფლებების დარღვევისაგან. აგრეთვე განსაზღვრავს ინდივიდების ერთმანეთთან ურთიერთობის სტანდარტებს. ამ კონსტრუქციაში ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება ისარგებლოს თავისი უფლებით, თუმცა ეს არ უნდა გააკეთოს სხვისი უფლებების შელახვის ხარჯზე. ადამიანის უფლებების უზრუნველყოფა უნდა იყოს მდგრადი და განგრძობადი პროცესი, რომელზეც ზეგავლენას არ უნდა ახდენდეს ხელისუფლების ცვლილება.

ხელისუფლების უმთავრესი ფუნქცია ადამიანის უფლებების დაცვაა, აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებისათვის ადამიანის უფლებების უზრუნველყოფა სხვა ვალდებულებებს შორის პრიორიტეტულია.

აუცილებელია, აღნიშნული ვალდებულებები შესრულდეს საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის ნებისმიერ უფლებასთან მიმართებით და თანასწორად ყველა ადამიანისთვის. ადამიანის უფლებები უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ნებისმიერი ადამიანისთვის ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

ადამიანის უფლებების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს სახალხო დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო ორგანოებისა და მექანიზმების რეკომენდაციები, აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ადამიანის უფლებების დაცვაზე ხელისუფლების პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება განხორციელდება კომპლექსურად, რომელშიც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სპეციალურ ორგანოებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

ადამიანის უფლებების უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებები უნდა იყოს ინკლუზიური და თავად უფლების მფლობელებს უნდა ჰქონდეთ მათში მონაწილეობის მიღებისა და აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა.

ადამიანის უფლებების პრაქტიკული რეალიზება გულისხმობს დარღვეული უფლების აღდგენის ეფექტიანი მექანიზმებისა და საშუალებების არსებობას. ამდენად, სახელმწიფოში უნდა არსებობდეს სათანადო სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც ადამიანს რეპარაციის შესაძლებლობას მისცემს.

ადამიანის უფლებების დარღვევის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის უფლებების დარღვევის მიუღებლობისა და მასზე რეაგირების აუცილებლობის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელებას. ამასთან, განათლების სისტემაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ადამიანის უფლებების შესახებ განათლების მიღების შესაძლებლობა ყველა ეტაპზე, მათ შორის არაფორმალური განათლების სახით.

სტრატეგიული მიმართულებები

დასახული ხედვისა და მიზნების მისაღწევად სტრატეგია გულისხმობს საკანონმდებლო, ინსტიტუციურ და პრაქტიკის ცვლილებებს.

საქართველოს სახალხო დამცველის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებისა და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით საქართველოში არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებზე თომას ჰამერბერგის ანგარიშის გათვალისწინებით 2014-2020 წლებისთვის ქვემოთ მოცემული მიმართულებები განისაზღვრა სტრატეგიულ პრიორიტეტებად. თუმცა, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული ის უფლებებიც, რომლებიც პირდაპირ განსაზღვრული არ არის სტრატეგიულ პრიორიტეტად.

ეკონომიკური და სოციალური უფლებების უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები, არსებული რესურსების ფარგლებში უნდა ახდენდნენ ეკონომიკური და სოციალური უფლებების პროგრესულ რეალიზებას.

1.სისხლის სამართლის კანონმდებლობის დახვეწა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის განმტკიცება.

მიზანი

ისეთი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიღება, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება ადამიანის უფლებების კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებთან და უზრუნველყოფს მხარეთა რეალურ თანასწორობას.

ამოცანები

ა) სისხლის სამართლის რეფორმის გაგრძელება, რაც მოითხოვს სისხლის სამართლის კოდექსში და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანას;

ბ) ამ პროცესში „საუკეთესო პრაქტიკის“ მაგალითებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება;

გ) საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად ადვოკატების, საგამოძიებო ორგანოებისა და მოსამართლეების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელება;

დ) დანაშაულებრივი ქმედების საპასუხოდ მიღებული ზომებისა და სანქციების ჩადენილი ქმედების სიმძიმესთან შესაბამისობა.

2. სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის გაუმჯობესება სასამართლოს სისტემის განგრძობადი რეფორმის მხარდაჭერის გზით

მიზანი

ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბება, რომლის ფარგლებშიც მაქსიმალურად გარანტირებული იქნება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება სხვა საპროცესო უფლებებთან ერთად. აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელია ფართომასშტაბიანი სასამართლო რეფორმით, რომელიც მოიცავს როგორც მოსამართლეების დამოუკიდებლობის გარანტიების, ასევე ეფექტიანი გამოძიებისა და საპროცესო წარმოების სისტემის შექმნას.

ამოცანები

ა) სასამართლო სისტემის რეფორმის წარმართვა როგორც ინსტიტუციურ დონეზე სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, ისე ინდივიდუალური მოსამართლეების მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად;

ბ) მოსამართლეთა დანიშვნისა და დაწინაურების, აგრეთვე საქმეთა განაწილების წესების დახვეწა;

გ) სასამართლო სისტემის საქმიანობის უფრო მეტად გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება მისი დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით;

დ) სასამართლო სისტემის მართვაში მოსამართლეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა;

ე) სასამართლო სისტემის რეფორმის გამჭვირვალედ წარმართვა თავად სასამართლო ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით.

3. პროკურატურის რეფორმირება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სამართლიანი, ეფექტიანი და გამჭვირვალე სისხლის სამართლებრივი დევნის დამოუკიდებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

მიზანი

პროკურატურის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც დამოუკიდებლად განახორციელებს ობიექტურ, ეფექტიან და გამჭვირვალე სისხლისსამართლებრივ დევნას და ორიენტირებული იქნება ადამიანის უფლებების დაცვაზე.

ამოცანები

ა) პროკურატურის საქმიანობაზე კონტროლის არსებული მექანიზმის დახვეწა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

ბ) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საქმიანობის ფორმების დანერგვა და პროკურორების კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება;

გ) პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება;

დ) სისხლისსამართლებრივი დევნის დამოუკიდებლად განხორციელების უზრუნველყოფა;

ე) იძულებითი ხასიათის ღონისძიებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გამოყენება.

4. სამართლდამცავ სისტემაში დანაშაულის პრევენციისა და ეფექტიანი გამოძიების სტანდარტის გაუმჯობესება, ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გაძლიერება და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მიზანი

უშუალოდ სამართალდამცავი სისტემის შიგნით დანაშაულის ჩადენის ფაქტების მაქსიმალურად გამორიცხვა და ნებისმიერ გადაცდომაზე ეფექტიანი რეაგირება. აგრეთვე, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, რომელიც სრულად გაითვალისწინებს ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებს.

ამოცანები

ა) სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების საქმიანობაზე კონტროლის ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მიუკერძოებელი და ეფექტიანი საზედამხედველო ღონისძიებების განხორციელებას;

ბ) სამართალდამცავი ორგანოების საქმინობის გამჭვირვალობა და საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულება;

გ) სამართალდამცავი ორგანოების მიერ სამართალდამრღვევ პირთა დაკავება და დაკავებულ პირთა უფლებების დაცვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

დ) სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება.

5. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის და ყოფილ პატიმრებზე ზრუნვის მექანიზმების ჩამოყალიბება

მიზანი

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასჯელაშრულებისა და პრობაციის სისტემის ჩამოყალიბება, პენიტენციურ და პრობაციის დაწესებულებებში დაწესებულებებში პირობების შემდგომი გაუმჯობესება, პატიმართათვის ეფექტიანი და დროული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მსჯავრდებულებისა და ყოფილი პატიმრების რესოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა.

ამოცანები

ა) საჩივრებისა და გამოძიების სისტემის გაუმჯობესება მისი ადეკვატურობისა და ქმედუნარიანობის უზრუნველსაყოფად;

ბ) მუდმივი ძალისხმევა პატიმართა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;

გ) პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურის განვითარება და პატიმრობის პირობების გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა;

დ) სასჯელაღსრულების და პრობაციის დაწესებულებებში მყოფ პირთა ადექვატური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა;

ე) ეფექტიანი საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის შექმნა;

ვ) სისტემაში გენდერულად მგრძნობიარე მოდგომების დამკვიდრება;

ზ) მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამების განვითარება;

თ) პენიტენციური სისტემის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა.

6. ადამიანის წამებისა და არასათანადო მოპრობის წინააღმდეგ ეფექტიანი ზომების განხორციელება გამჭვირვალე და დამოუკიდებელი გამოძიების წარმოების ჩათვლით

მიზანი

ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, სადაც უზრუნველყოფილი იქნება წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების პრევენცია, ეფექტიანი გამოძიების წარმოება და მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის მექანიზმები.

ამოცანები

ა) სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციას და წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების დროულ, სრულყოფილ და ეფექტიან გამოძიებას;

ბ) წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ საბრძოლველად ეფექტიანი მექანიზმის ჩამოყალიბება, რომელიც სისტემურად მიუდგება პრობლემას;

გ) ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება პენიტენციურ სისტემაში, სამართალდამცავი ორგანოებისა და სახელმწიფო მოხელეების/მოსამსახურეების მიერ განხორციელებული წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის უზრუნველსაყოფად და ნებისმიერ გადაცდომაზე დროული, მიუკერძოებელი და სრულყოფილი რეაგირების განხორციელება;

დ) წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის ეფექტიანი მექანიზმების არსებობა;

ე) საზოგადოების დროული და ეფექტიანი ინფორმირება წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების აკრძალვის, პრევენციისა და გამოძიების შესახებ.

7. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც გაითვალისწინებს ყველა ბავშვის, მათ შორის კანონთან კონფლიქტში მყოფი, დაზარალებული და დანაშაულის მოწმე, აგრეთვე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ბავშვების, საჭიროებებსა და საუკეთესო ინტერესს

მიზანი

საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დახვეწილი და ეფექტიანი სისტემის შემოღება, რომელიც ორიენტირებული იქნება სისხლის, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართალწარმოებაში ნებისმიერი ფორმით მონაწილე არასრულწლოვანების საუკეთესო ინტერესების დაცვაზე.

ამოცანები

ა) ნებისმიერი რეფორმისა და ღონისძების განხორციელებისას არასრულწლოვანთა „საუკეთესო ინტერესების“ დაცვა;

ბ) ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ყველა ბავშვის მიმართ, მათ შორის სპეციალური კანონმდებლობის შემუშავება; მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე პროფესიონალთა სპეციალიზაცია და ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნა;

გ) პატიმრობაში მყოფ და თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა სრულწლოვანებისგან მკაცრი იზოლაცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

დ) პრევენციული ღონისძიებების განვითარება და გაფართოება;

ე) არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისა და ყოფილი პატიმრების რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება;

ვ) თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელის გამოყენების შესაძლებლობის მაქსიმალურად გათვალისწინება;

ზ) პატიმრობაში მყოფი და თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანებისთვის ხარისხიანი განათლების მიღების უზურნველყოფა;

თ) კონკრეტულად არასრულწლოვანთა საჭიროებებზე მორგებული ტრენინგის მიწოდება ყველასთვის, ვისაც შეხება აქვს არასრულწლოვანებთან მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.

8. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფა მათ შორის, საარჩევნო გარემოს დახვეწისა და საჯარო სამსახურის განვითარების გზით

მიზანი

საქართველოს მოსახლეობისათვის ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების უზრუნველმყოფელი საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბება საკანონმდებლო ნორმების დახვეწისა და მათი პრაქტიკაში განხორციელების გზით; საარჩევნო სუბიექტებისათვის თანასწორი შესაძლებლობების მიცემისა და საზოგადოების არჩევნებში დაუბრკოლებლად მონაწილეობის მიღების გარანტიების შექმნა; საჯარო სამსახურის რეფორმირება, მისი დეპოლიტიზაცია და ანგარიშვალდებულების გაზრდა.

ამოცანები

ა) საარჩევნო კანონმდებლობის მიერ საარჩევნო უფლების ყველასათვის თანასწორად რეალიზებისა და ნების თავისუფალი გამოვლენის შესაძლებლობის მიცემა;

ბ) არჩევნების ნებისმიერ ეტაპზე ყველა პოლიტიკური სუბიექტისთვის სამართლიანიდა თანასწორი გარემოს არსებობა;

გ) პარტიების დაფინანსების სისტემის გამჭვირვალობა;

დ) საარჩევნო სისტემის ფარგლებში ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველყოფა;

ე) საჯარო სამსახურის დეპოლიტიზირება;

ვ) საჯარო სამსახურში მიღება ობიექტური და გამჭვირვალე კონკურსის საფუძველზე და მერიტოკრატიის პრინციპის დაცვით;

ზ) ნებისმიერი სახით დისკრიმინაციის ხელშემწყობი გარემოებების აღმოფხვრა პოლიტიკურ ცხოვრებაში და საჯარო სამსახურში.

9. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მაღალი სტანდარტების დანერგვა

მიზანი

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების უზრუნველყოფა.

ამოცანები

ა) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ზედამხედველობის სისტემის საერთაშორისო, მათ შორის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;

ბ) საგამოძიებო ორგანოების თანამშრომელთა მუდმივი გადამზადება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი მხრიდან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა;

გ) ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით;

დ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო მექანიზმებისა და შესაბამისი ორგანოების ეფექტიანი მუშაოებისთვის საჭირო პირობების შექმნა.

10. გამოხატვის, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების მაღალი სტანდარტით დაცვის გარანტიების შექმნა

მიზანი

ადამიანის უფლებათა კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტებით დაცული გამოხატვის თავისუფლების გარანტიის შექმნა, ასევე შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების სათანადო რეალიზებისათვის გარემოს შექმნა, მედიის თავისუფლების უზრუნველყოფა და ჟურნალისტთა დაცვა პროფესიულ საქმიანობაში ჩარევისაგან; შეკრებისა და მანისფესტაციის მონაწილეთა დაცვა და ამ კუთხით სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების შესრულება.

ამოცანები

ა) გამოხატვის თავისუფლების ხელის შეშლის ფაქტების აღკვეთა და პრევენცია;

ბ) საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის.

გ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეკრების და მანიფესტაციის უფლების დარღვევის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირება და უფლების დარღვევის პრევენცია

დ) მუდმივად უნდა ხდებოდეს სამართალდამცავი ორგანოების კვალიფიკაციის ამაღლება ხელისუფლების მხრიდან შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების უზრუნველსაყოფად პოზიტიური ვალდებულების სათანადოდ შესრულების მიზნით.

11. რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების უზრუნველყოფა

მიზანი

რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების უზრუნველყოფა, რომლითაც დაცული იქნება, როგორც მათი შინაგანი თავისუფლება, ისე გამოხატვის შესაძლებლობები.

ამოცანები

ა) ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და მისი შედეგების აღმოსაფხვრელად;

ბ) რელიგიური გაერთიანებებისათვის საკუთარი საქმიანობის შეუზღუდავად განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;

გ) ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების პრევენციისა და ეფექტიანი გამოძიების მიზნით.

12. თანასწორობის უფლების უზრუნველოფა და უმცირესობების უფლებების დაცვა

მიზანი

საზოგადოებაში შემწყნარებლობის მაღალი სტანდარტის დანერგვა, ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის პრევენცია და მომხდარი დისკრიმინაციის შემთხვევების შედეგების აღმოფხვრა, აგრეთვე სისხლის სამართლის დანაშაულის მატარებელი დისკრიმინაციის შემთხვევების ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფა და უმცირესობების ინტეგრაცია სამოქალაქო ცხოვრებასა და სახელმწიფო მართვაში.

ამოცანები

ა) ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

ბ) ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა, როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში;

გ) სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიადაგზე დისკრიმინაციასთან ბრძოლა;

დ) დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე შესაბამისი რეაგირება, რომელიც უზურნველყოფს დისკრიმიანციის შედეგების აღმოფხვრას;

ე) დისკრიმინაციის მსხვერპლის უზრუნველყოფა სათანადო რეპარაციით;

ვ) ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანი გაგრძელება;

ზ) მუდმივი ძალისხმევა ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობათა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით;

თ) თანასწორობისა და შემწყნარებლობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება.

13. ბავშვთა უფლებების რეალიზება მათ შორის, ბავშვთა დაცვისა და დახმარების სისტემის გაუმჯობესების, სოციალური მომსახურებების განვითარების, ბავშვთა სიღარიბისა და სიკვდილიანობის შემცირებისა და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფით გზით

მიზანი

ბავშვთა დაცვისა და დახმარების სისტემების გაუმჯობესება, ბავშვთა სოციალური მომსახურების განვითარება, სიღარიბისა და სიკვდილიანობის შემცირება, აგრეთვე ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა.

ამოცანები

ა) ბავშვებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების დროს მათი „საუკეთესო ინტერესების“ გათვალისწინება;

ბ) ნებისმიერი სახის ძალადობისგან ბავშვთა დაცვის უზრუნველყოფა და ძალადობის ფაქტებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება;

გ) ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარება;

დ) ბავშვთა სოციალური მომსახურების სისტემის განვითარება;

ე) განათლების სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიცემის შესაძლებლობა, მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე ბაშვებისთვის;

ვ) ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოწყვლადი ბავშვების რეაბილიტაციისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას;

ზ) ბავშვზე ორიენტირებული სარგებლის შემოღება;

თ) ბავშვთა გაზრდა და განვითარება ოჯახებსა და ოჯახთან მიახლოებულ გარემოში;

ი) შესაბამისი ზომების გატარება ცხოვრების ჯანსაღი წესის უზრუნველსაყოფად

14. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, ქალთა უფლებების დაცვა და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა

მიზანი

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, ქალთა უფლებების დაცვა, ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა და მისი შედეგების აღმოფხვრა.

ამოცანები

ა) ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება საზოგადოების ყველა სფეროში, განსაკუთრებით პოლიტიკურ საქმიანობაში და გადაწყვეტილების მიღების დონეზე, გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად;

ბ) გენდერული თანასწორობის დარღვევის ყოველ ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება;

გ) ოჯახში ძალადობისგან ქალთა დაცვისა და დახმარების თაობაზე არსებული მექანიზმებისა და სამართლებრივი ბაზის საერთაშორისო სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა;

დ) საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასოწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე;

ე) ძალადობის მსხვერპლთათვის სამართლებრივი დაცვისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა და თავშესაფრის ხელმისაწვდომობა.

15. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, გონივრული მისადაგების პრინციპის დაცვით, საკუთარი უფლებების სხვა პირების მსგავსად განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფა

მიზანი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და მათი საზოგადოებაში სრული ჩართულობა.

ამოცანები

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა გონივრული მისადაგების პრინციპის საფუძველზე მათი საჭიროებების გათვალისწინებით;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღირსების დაცვა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა;

გ) საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულყოფილი მონაწილეობა;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობა;

ე) საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებისა და სატრანსპორტო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის;

ვ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

16. იძულებით გადაადგილებულ და ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთა უფლებების დაცვა

მიზანი

იძულებით გადაადგილებულ და ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ცხოვრების ადექვატური პირობებით უზრუნველყოფა და მათი საზოგადოებაში რეინტეგრაცია. აგრეთვე იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დასაბრუნებლად ყველა შესაძლო ზომის მიღება, მათ შორის ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ინსტრუმენტების გამოყენებით.

ამოცანები

ა) ყველა შესაძლო ღონისძიების განხორციელება იძულებით გადაადგილებული პირების მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დასაბრუნებლად, რაც მათ განუყოფელ უფლებას წარმოადგენს;

ბ) ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება იძულებით გადაადგილებულ და ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთა საცხოვრებელი და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;

გ) იძულებით გადაადგილებული და ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები პირებისთვის მათთან დაკავშირებულ საკითხებზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

17. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა უფლებების დასაცავად ყველა შესაძლო ზომის მიღება, მათ შორის ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ინსტრუმენტების გამოყენებით

მიზანი

ოკუპირებულ ტერიტორებზე ადამიანის უფლებების გავრცელების ხელშეწყობა და საქართველოს სახელმწიფოს ხელთ არსებული ყველა ზომის გამოყენება, ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პოზიტიური ვალდებულების შესასრულებლად.

მოცანები

საქართველოს მხრიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა უფლებების დასაცავად ყველა შესაძლო ზომის მიღება, მათ შორის ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ინსტრუმენტების გამოყენებით.

18. საკუთრების უფლების დაცვის მაღალი სტანდარტების დანერგვა

მიზანი

საკუთრების უფლების დასაცავად მაღალი სტანდარტების დანერგვა.

ამოცანები

ა) საკუთრების უფლების დაცვის საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების დახვეწა;

ბ) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში საკუთრების ჩამორთმევისას კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი წესის დაცვა;

გ) მფლობელობაში/სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ყოველი კონკრეტული საქმის საფუძვლიანი გამოკვლევის შედეგად კანონის შესაბამისად.

19. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შრომითი უფლებების დაცვა

მიზანი

შრომის კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და შრომის უფლებების დაცვა ამ კანონმდებლობის საფუძველზე.

ამოცანები

ა) შრომის კანონმდებლობის სრულ შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან;

ბ) შრომითი კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაცია;

გ) შრომითი უფლებების დასაცავად ინსტიტუციური მექანიზმების არსებობა.

20. ეფექტიანი ზომების მიღება ჯანმრთელობის დაცვის უფლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის

მიზანი

ეფექტიანი ზომების მიღება ჯანმრთელობის დაცვის უფლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

ამოცანები

ა) ჯანმრთელობის უფლების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოში არსებული რესურსის შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალური კონცეტრირება;

ბ) ჯანმრთელობის უფლების უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე;

გ) ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება მოწყვლადი ჯგუფებისათვის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

21. სათანადო საცხოვრებლის უფლებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება

მიზანი

სათანადო საცხოვრებლის უფლებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება და უსახლკარობის პრობლემის აღმოფხვრა.

ამოცანები

ა) სათანადო საცხოვრებლის უფლების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოში არსებული რესურსის შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალური კონცეტრირება;

ბ) სათანადო საცხოვრებლის უფლების უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე;

გ) ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება მოწყვლადი ჯგუფებისათვის სათანადო საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობის უზრუნვლესაყოფად;

დ) სათანადო საცხოვრებლის უფლების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობისა და სახელმწიფო საბინაო სტრატეგიის არსებობა, რომელიც გაითვალისწინებს ყველა ჯგუფის ინტერესს;

ე) უსახლკარო პირთა აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის შექმნა.

ვ) მინიმალური საცხოვრებელი პირობების არსებობის უზრუნველყოფა.

22. მიგრანტთა და თავშესაფარის მქონე პირთა უფლებების უზრუნველყოფა

მიზანი

მიგრანტების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა, მათი დაცვა ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და შრომით უფლებების უზრუნველყოფა, აგრეთვე მიგრანტებისათვის მომსახურების, მათ შორის ემიგრანტებისთვის სარეინტეგრაციო მომსახურების გაუმჯობესება და მათი დაცვა ტრეფიკინგისგან; „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.

ამოცანები

ა) ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება მიგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლიმენტაციის მიზნით;

ბ) უკანონო მიგრაციის პრევენცია;;

გ) მიგრანტთა ტრეფიკინგის პრევენცია, ტრეფიკინგის მსხვერპლთა პროაქტიული გამოვლენა და სათანადო მომსახურების მიწოდება;

დ) ზომების მირღება თავშესაფრის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების უფლების რეალიზაციისათვის.

ე) თავშესაფრის მქონე პირთა გადაადგილების უფლების დაცვა

23. ადამიანის ეკოლოგიური უფლებების უზრუნველყოფა

მიზანი

ადამიანის ეკოლოგიური უფლებების შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი გარანტიების გამტკიცება გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საჯაროობის მექანიზმების გაუმჯობესებისა და ამ სფეროში მართლმსაჯულებაზე წვდომის საერთაშორისოსამართლებრივი კრიტერიუმების დანერგვის გზით; აგრეთვე, გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

ამოცანები

ა) გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საერთაშორისოსამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად;

ბ) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საჯაროობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესება საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად;

გ) გარემოსდაცვით საკითებზე მართლმსაჯულებაზე წვდომის უზრუნველყოფა საერთაშორისოსამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად;

დ) გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

სტრატეგიის შესრულებისა და მისი მონიტორინგის მექანიზმი

ამ სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების შესასრულებლად იქმნება საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა, რომელიც 2014-2015 წლებისთვის განსაზღვრავს ამ სტრატეგიით დასახული მიზნების შესრულების კონკრეტულ აქტივობებს, შესრულების ვადებს, ინდიკატორებს და შესრულებაზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებს. გეგმის მოქმედების პერიოდში, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტები წელიწადში ერთხელ

წარუდგენენ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას შესრულებული აქტივობების შუალედურ ანგარიშს. ამ ანგარიშების და სხვა მექანიზმების მეშვეობით მთავრობის ადმინისტრაცია ახორციელებს სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდულ მონიტორინგს. გეგმის მოქმედების პერიოდის ამოწურვისას, მთავრობის ადმინისტრაცია ამზადებს მისი შესრულების ერთიან შემაჯამებელ მოხსენებას და წარუდგენს მას პარლამენტს.

შემაჯამებელი მოხსენება უნდა ასახავდეს სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდული მონიტორინგის შედეგებს და შეიცავდეს შესაბამის რეკომენდაციებს.

სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ხარისხობრივი კრიტერიუმები უნდა ემყარებოდეს საქართველოს სახალხო დაცველის, საქართველოში მოქმედი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგად და თემატურ მოხსენებებს და რეკომენდაციებს. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ადამიანის უფლებების დაცვის ზოგად და თემატურ საკითხებზე, ჩამოთვლილი სუბიექტების მიერ, როგორც საანგარიშო პერიოდის დასაწყისში, ისე მისი ამოწურვისას გამოთქმული მოსაზრებები.

სამოქმედო გეგმის შესრულების რაოდენობრივი კრიტერიუმებით შესაფასებლად, მთავრობის ადმინისტრაცია და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავებენ და წარუდგენენ პარლამენტს წელიწადში ერთხელ, კალენდარული წლის მარტში შესაბამის თემატურ სტატისტიკურ პარამეტრებს, რომლებიც გამოავლენენ სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესულ და პრობლემურ მხარეებს.

2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის მოქმედების პერიოდის ამოწურვის შემდეგ, აღნიშნული შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, სახელმწიფო ორგანოების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით შედგება ახალი სამოქმედო გეგმა.